



**2018 წლის 20 ნოემბრის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N33

სხდომის დაწყების დრო: 19:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

თამარ მაღალაშვილი, თამთა მანიჟაშვილი, თათია მანიჟაშვილი, თორნიკე ნადირაძე, ნინო ქაშაკაშვილი, დინარა ჯალაღონია, გვანცა შვანგირაძე, ნიკოლოზ ნებულიშვილი, მარიამი მიქელთაძე, თამარი გეგია, მეგი აბულაძე, ანა ალღაძე, ქეთევან ქობალია, ხათუნა როსტიაშვილი, ნინო აშორდია, არჩილ ხარაზი, გიორგი გაგნიძე, შორენა გაბიანი, თამთა ქევხიშვილი, გიორგი ნიქაბაძე, ფიქრია შათირიშვილი, ნატალია მაზაშვილი, გვანცა ცაბაძე, ნატო ბერიძე, ზურაბ კიპაროძე, დარეჯანი სალდაძე, სალომე ქერაშვილი, ნათია გოგიჩაიშვილი, სალომე სალდაძე, იოსებ დიდმელიშვილი, ნინო ბალახაშვილი, ანა გაბუნია, თამარი აფრიამაშვილი, ხატია ქვრივიშვილი, ანა ტეტუნაშვილი, თათია პაპიძე, სალომე ქოქოსაძე, ქეთევან კურცხალია, გიორგი ქარჩავა, ხატია პაპიძე, ნინო ბერიშვილი, კახაბერ მოსეშვილი, ქრისტინე კუპრავა, ეკა დალაქიშვილი, თამარ ზაქრაძე, თამთა ბუკია, თამთა შენგელაია, ნათია არაჩაშვილი, ნათია კოტია, მირანდა მესხი, თამარი ცუცქირიძე, ზურაბ ღუდუშაური, ნათია მერებაშვილი, მარიკა დუმბაძე, მაკა ქავთარაძე, ზაზა სუხიშვილი, დავით არდაზიშვილი, ლევან მარშავა, მარინა მღებრიშვილი, დავით წულაია, ჯემალ ბელქანია, ლინდა შალამბერიძე-ვერძაძე, გიგა ძნელაძე, მირანდა მელქაძე, სოფიო კვარაცხელია, ხატიჯე აიქალი, სალომე კანტიძე.

საბჭოს წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს:

საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: თამარ მაღალაშვილის, თამთა მანიჭაშვილის, თათია მანიჭაშვილის, თორნიკე ნადირაძის, ნინო ქაშაკაშვილის, დინარა ჯალაღონიას, გვანცა შვანგირაძის, ნიკოლოზ ნებულიშვილის, მარიამი მიქელთაძის, თამარი გეგეას, მეგი აბულაძის, ანა ალაძის, ქეთევან ქობალიას, ხათუნა როსტიაშვილის, ნინო აშორდიას, არჩილ ხარაზის, გიორგი გაგნიძის, შორენა გაბიანის, თამთა ქეცხიშვილის, გიორგი ნიქაბაძის, ფიქრია შათირიშვილის, ნატალია მაზაშვილის, გვანცა ცაბაძის, ნატო ბერიძის, ზურაბ კიპაროიძის, დარეჯანი სალდაძის, სალომე ქერაშვილის, ნათია გოგიჩაიშვილის, სალომე სალდაძის, იოსებ დიდმელიშვილის, ნინო ბალახაშვილის, ანა გაბუნias, თამარი აფრიამაშვილის, ხატია ქვრივიშვილის, ანა ტეტუნაშვილის, თათია პაპიძის, სალომე ქოქოსაძის, ქეთევან კურცხალიას, გიორგი ქარჩავას, ხატია პაპიძის, ნინო ბერიშვილის, კახაბერ მოსეშვილის, ქრისტინე კუპრავეს, ეკა დალაქიშვილის, თამარ ზაქრაძის, თამთა ბუკიას, თამთა შენგელაიას, ნათია არაჩაშვილის, ნათია კოტიას, მირანდა მესხის, თამარი ცუცქერიძის, ზურაბ ლუდუშაურის, ნათია მერებაშვილის, მარიკა დუმბაძის, მაკა ქავთარაძის, ზაზა სუხიშვილის, დავით არდაზიშვილის, ლევან მარშავას, მარინა მღებრიშვილის, დავით წულაიას, ჯემალ ბელქანიას, ლინდა შალამბერიძე-ვერძაძის, გიგა ძნელაძის, მირანდა მელქაძის, სოფიო კვარაცხელიას, ხატიჯე აიქალის, სალომე კანტიძის **განცხადებები გაწევრიანების შესახებ დაკმაყოფილდეს.**

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) **ვაჟა ბოხუას** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, რომელიც გაცემული იყო 2007 წლის 24 ნოემბერს და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, რომელიც გაცემული იყო 2008 წლის 21 მაისს.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ვაჟა ბოხუას მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს ვაჟა ბოხუას განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ბ) ნინო კარანაძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შპს „იურიდიული მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა იურისტის თანამემწის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2015 წლის 14 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ ნინო კარანაძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, წარმოადგინოს იურისტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი პოზიციისთვის გაწერილი ფუნქცია მოვალეობების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს ნინო კარანაძეს განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ნინო კარანაძეს განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

ღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

გ) თეიმურაზ ფარეიშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ 1999 წლის 06 თებერვალს გაცემული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით, 3 წლის ვადით და 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით უვადოდ ხაშურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, ის ფაქტი რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით მის მიერ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი თუმცა, წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ გამწესდა მოსამართლედ. წევრებმა განაცხადეს, რომ თეიმურაზ ფარეიშვილის შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, წარმოადგინოს ცნობა რითაც დასტურდება, მის მიერ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდგომ დადგენილი წესით მოსამართლედ განწესების ფაქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. შეჩერდეს თეიმურაზ ფარეიშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. თეიმურაზ ფარეიშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

ღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

დ) ანა ონაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატიდან 2014 წლის 22 სექტემბრიდან დღემდე

საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში სხვადასხვა პოზიციაზე (კონსულტანტი, წამყვანი სპეციალისტი, მთავარი სპეციალისტი) მუშაობის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ ანა ონაშვილის შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, პოზიციისთვის გაწერილი დეტალური ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს ანა ონაშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ანა ონაშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების თამარ ლალიაშვილის, უშანგი ბახტაძეს, დავით დალაქიშვილის და სალომე მჭედლიშვილის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს კანონის „ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

ა) “ადვოკატთა შესახებ” კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი თამარ ლალიაშვილის, უშანგი ბახტაძეს, დავით დალაქიშვილის და სალომე მჭედლიშვილის განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: გიორგი ნიქაბაძე, ანზორ ბურჯანაძე, გიორგი გაგნიძე, მირანდა მელქაძე, გიგა ძნელაძე, სალომე მაკარიძე, ვერონიკა ესიავა, ნინო აშორდია, თეა ციხიშვილი, ლევან მარშავა, ქეთევანი იაშვილი, ნინო ვალიკოვი, თამაზ ქურქუსაშვილი, თამარ ჩხოლარია, მარიამ დვისაძე, თამთა მანიჟაშვილი, თათია მანიჯაშვილი, ბექარ გოგინაშვილი, სალომე ქერაშვილი, ლაშა ჯანგირაშვილი, სალომე ქავთარაძე, ქეთევან ჯაფარიძე, ანა გოდელაშვილი, გიორგი დონაძე, ქრისტინე კუპრავა, ანა ტეტუნაშვილი, ხატია ქვრივიშვილი, შორენა ნარიმანიძე, ქეთევან ზუკაკიშვილი, თამარ ცუცქირიძე, გიორგი ტარულიშვილი, გიორგი ქარჩავა, ქეთევან კურცხალია, მალხაზ ცერცვაძე, მუხრან გოგატიშვილი, სალომე ქოქოსაძე, ნატო ბერიძე, იოსებ დიღმელიშვილი, შორენა ბასილაშვილი, სალომე კანტიძე, ვახტანგ ლორთქიფანიძე, ზურაბ ლუღუშაური, 2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ვახტანგ ნაყოფია, მამუკა აგლაძე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა

ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ: გიორგი ნიქაბაძე, ანზორ ბურჯანაძე, გიორგი გაგნიძე, მირანდა მელქაძე, გიგა ძნელაძე, სალომე მაკარიძე, ვერონიკა ესიავა, ნინო აშორდია, თეა ციხიშვილი, ლევან მარშავა, ქეთევანი იაშვილი, ნინო ვალიკოვი, თამაზ ქურქუსაშვილი, თამარ ჩხოლარია, მარიამ დეისაძე, თამთა მანიჭაშვილი, თათია მანიჯაშვილი, ბექარ გოგინაშვილი, სალომე ქერაშვილი, ლაშა ჯანგირაშვილი, სალომე ქავთარაძე, ქეთევან ჯაფარიძე, ანა გოდელაშვილი, გიორგი დონაძე, ქრისტინე კუპრავა, ანა ტეტუნაშვილი, ხატია ქვრივიშვილი, შორენა ნარიმანიძე, ქეთევან ზუკაკიშვილი, თამარ ცუცქირიძე, გიორგი ტარულიშვილი, გიორგი ქარჩავა, ქეთევან კურცხალია, მალხაზ ცერცვაძე, მუხრან გოგატიშვილი, სალომე ქოქოსაძე, ნატო ბერიძე, იოსებ დიდმელიშვილი, შორენა ბასილაშვილი, სალომე კანტიძე, ვახტანგ ლორთქიფანიძე, ზურაბ ღუდუშაური ამასთან, 2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს - ვახტანგ ნაყოფიას და მამუკა აგლაძეს ეცნობოთ ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი 4. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ განცხადების განხილვა - ლამარა ბეჟანიშვილი

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ლამარა ბეჟანიშვილის ინდივიდუალური განცხადება 2017, 2018, 2019 წლების საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი ლამარა ბეჟანიშვილის განცხადება, განცხადებებში მითითებული მოთხოვნის შესაბამისად;
2. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

საკითხი 5. ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, 2018 წლის 19 ოქტომბერს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ცვლილებების შესაბამისად. წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განახლებული ბიუჯეტის პროექტი და დამატებით მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 6. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის განცხადების განხილვა აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე;

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო საქართველოს არბიტრთა ასოციაციის განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის განცხადება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საკითხი 7. შპს „სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტის“ განცხადების განხილვა ექვს ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე;

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო შპს „სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტის“ განცხადება ექვს ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შპს „სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტის“ განცხადება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საკითხი 8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (NCDR) განცხადების განხილვა ორ ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (NCDR) განცხადება ორ ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (NCDR) განცხადება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საკითხი 9. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის ექსპერტთა დამტკიცების საკითხის განხილვა

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2018 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ საგამოცდო ტესტების შემუშავებას, რედაქტირებასა და საჩივრების გასწორებას როტაციის პრინციპით და განმარტა, რომ მიზანშეწონილია საკვალიფიკაციო გამოცდებზე რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე ექსპერტთა რაოდენობის გაზრდა.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

2018 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის სამართლის ექსპერტთა ჯგუფს დაემატოს ექვსი ექსპერტი (დანართი 2).

საკითხი 10. სხვადასხვა.

მოქალაქე იური მაჭარაშვილის განცხადების განხილვა

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო მოქალაქე იური მაჭარაშვილის 2018 წლის 14 ნოემბრის განცხადება გაწევრიანებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე, ვინაიდან არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ იური მაჭარაშვილმა აღმასრულებელ საბჭოს გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 11 ოქტომბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეჩერდა იური მაჭარაშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე, რომლის თანახმადაც შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, იური მაჭარაშვილს დაევალა წარმოედგინა დამატებითი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი, რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის

მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე, მსჯელობის შედეგად ღია კენჭისყრით შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე იური მაჭარაშვილის განცხადება;
2. განმცხადებელს გაწვევრიანებისთვის გადახდილი თანხა სრულად დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილ საბანკო რეკვიზიტებზე;
3. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე